

შპს „ვარციხე 2005“

შპს „ვარციხე 2005“-ის კუთვნილი (სარეზერვო) ძალოვანი 10/110 კვ-ის ტდგ-80 მვა ტრანსფორმატორის
კაპიტალური შეკეთება (საქ. #11984)

ტექნიკური დავალება

1. ზოგადი დახასიათება

შპს "ვარციხე 2005"-ის კუთვნილ თითოეულ ჰესზე ტრანსფორმატორები დამონტაჟებულია იდიდენტურიძალოვანი ტრანსფორმატორები (ტიპი **ტდგ-80000/110**), რომლის დანიშნულება არის ჰიდროგენერატორის ძაბვის აწევა 10 კვ-დან სასისტემო ძაბვამდე - 110 კვ-მდე და ჰიდროაგრეგატების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის გადაცემა (მიწოდება) სისტემაში.

ტრანსფორმატორების დაზიანების რისკის თავიდან ასაცილებლად და დაზიანების კერის დროული აღმოჩენის შემთხვევაში შესაძლებელი არის ძირითადი ტრანსფორმატორის ჩანაცვლება სარეზერვო ტრანსფორმატორით, რომელიც განთავსებულია რომელიმე ჰესის ტერიტორიაზე, ხოლო ჩანაცვლების დრო არ აღემატება 24 საათს.

ამჟამად სარეზერვო ძალოვანი ტრანსფორმატორი დგას ჰესი III-ის ტერიტორიაზე, რომელზეც ის შეცვლილი იქნა 2022 წელს. აღნიშნული ტრანსფორმატორი მოხსნილი იქნა ექსპლუატაციიდან მასზე შემდგომი ექსპლუატაციისათვის დაუშვებელი დეფექტების აღმოჩენის გამო და გადაყვანილი იქნა რეზერვში.

აღნიშნული ტრანსფორმატორის მწყობრში მოსაყვანად საჭიროა მისი სრული კაპიტალური შეკეთება, რაც გულისხმობს ძალოვანი ნაწილის შეკეთებას - აქტიური ფოლადის, გრაგნილის იზოლაციის შეკეთებას, მაღალი ძაბვის ამომყვანების შეკეთებას, ყველა სახის შემჭიდროვეების შეცვლას, ზეთის სრულ რეგენერაციას (ან შეცვლას), დამხმარე მოწყობილობებით დაკომპლექტებას - ტუმბოები, გაგრილების სისტემის ვენტილატორები და ანტიკოროზიულ დამუშავებას.

2. სამუშაოს მოცულობა

- ტრანსფორმატორის სარემონტო მოედანზე გადატანა და სარემონტო მოედნის მომზადება;
- ზეთის რადიატორების, ტუმბოების, გამაგრილებელი ვენტილატორების, გამაფართოებელი ავზის დემონტაჟი და მათი შემდგომი დეფექტაცია;
- ტრანსფორმატორზე მაღალი ძაბვის ამომყვანების ახსნა და ტრანსფორმატორის გახსნა;
- ტრანსფორმატორის გრაგნილის იზოლაციის აღდგენა;
- აქტიური ფოლადის გამოშრობა და დაპრესვა;
- ანცაფების დაშლა, გაწმენდა, აღდგენა - თავისი შემჭიდროვებით;
- ყველა სახის რეზინის შემჭიდროვეების შეცვლა (*გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ ზეთბენზოგამძლე რეზინა*);
- მაღალი ძაბვის ამომყვანების რევიზია და საჭიროების შემთხვევაში შეკეთება;
- ტრანსფორმატორის გაგრილების სისტემის ზეთგამაცილებელი რადიატორების შეკეთება და გამოცდა;
- ტრანსფორმატორის კომპლექტაცია დამხმარე მოწყობილობებით - ზეთის ტუმბოები, ვენტილატორები, თერმოსიგნალიზატორები;

- ტრანსფორმატორის ზეთის სრული რეგენერაცია და დამატება ნომინალურ ნიშნულამდე;
- ტრანსფორმატორის კორპუსის გაწმენდა (გარედან და შიგნიდან) ზეთისაგან და შეღებვა;
- ტრანსფორმატორის ტესტირება.

3. მოთხოვნები შემსრულებლის მიმართ

- შემსრულებელმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს ტრანსფორმატორის რეაბილიტაცია და მისი ექსპლუატაციაში შეყვანა ისე, რომ მიღწეული იქნას ტრ-რის მუშაობა არსებული ტექნიკური ექსპლუატაციის წესების შესაბამისად.

შპს „ვარციხე 2005“-ის ადმინისტრაცია